



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

22 მარტი 2024



N 162/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. გურჯაანში, შპს „აგროუბანის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „აგროუბანის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 29 დეკემბერს (N12944) წარმოდგენილია ქ. გურჯაანში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N 17/ს; 16/01/2024) შექმნა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „გერგილის“ მიერ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 7 ივნისის N256/ს ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება ქ. გურჯაანში, შპს „აგროუბანის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, რომლის თანახმად საქმიანობა დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას.

შპს „აგროუბანის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. გურჯაანში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N464 19/09/2023, სკოპინგის დასკვნა N27).

სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს "აგროუბანის" კუთვნილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ინსპექტირება. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში სრულად არის მოწყობილი ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი დანადგარები, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "აგროუბანის" მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2023 წლის 5 სექტემბერს შედგა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №082308 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება გურჯაანის რაიონულ სასამართლოს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმო მდებარეობს ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში, შპს „აგროუბანის“ საკუთრებაში არსებულ 5431 მ2 ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.01.59.318). საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 51.01.59.172) დაშორებულია დაახლოებით 300 მეტრით. საწარმოდან აღმოსავლეთით 9 მეტრში მდებარეობს - შპს „აგროპლასტიკის“ (ს/კ: 51.01.59.319) პლასტმასის ნაკეთობების დამამზადებელი ობიექტი. საწარმოდან დაახლოებით 45 მეტრში მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 2 ხელოვნური ტბორით (ს/კ 51.01.59.253). ტერიტორიას დასავლეთით ესაზღვრება ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზა. საპროექტო ტერიტორიის განაპირა საზღვრიდან დასავლეთით, გადის შპს "დელტა კომპის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა ოპტიკურ ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა (ს/კ: 51.00.258). საავტომობილო გზის ბუფერში, მიწისქვეშ გადის შპს „სოკარ ჯორჯია გაზი - კახეთის“ მილსადენი (ს/კ: 51.00.220), რომელიც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დასავლეთით მდებარეობს 7 მეტრში. ასევე საპროექტო ობიექტის საზღვრიდან 70 მეტრში მდებარეობს შპს „აისი“ (ს/კ:51.01.59.224), რომელიც წარმოადგენს ნაყინის საწარმოს, ხოლო 140 მეტრში შპს „იმედი დიდუბე“ (ს/კ:51.01.59.066), რომელიც წარმოადგენს გზების მშენებელ კომპანიას. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ახტალისხევი) მდებარეობს 240 მეტრში.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია უმოქმედობის, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით, უპირატესობა მიენიჭა ელექტროენერგიაზე მომუშავე პოლიეთილენის გრანულების გადამამუშავების დანადგარებს. საწარმოს მოწყობის ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის შერჩევა მოხდა უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის, საკომუნიკაციო ქსელებთან ხელმისაწვდომობისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხების გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან ნარჩენების აღდგენის საწარმო მდებარეობს 906,6 მ2 ფართის შენობაში. საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 2864.4 ტონა პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენის გადამამუშავება და საბოლოო პროდუქტის გრანულების წარმოება (ნარჩენის აღდგენის კოდი: R 3). აღნიშნული გადასამამუშავებელი ნარჩენებიდან 0.2 % (0.5728 ტონა/წელიწადში) წარმოადგენს წარმოების პროცესში მიღებულ წუნდებულ პროდუქციას. ნარჩენების გადასამამუშავებლად (ნარჩენების აღდგენა) გამოყენებული იქნება „KAL-DER MAKINA-ს“ ფირმის დანადგარები. ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული იქნება: 2 ერთეული დამაქუცმაცებელი აგლომერატი (350 კგ/სთ და 600 კგ/სთ), გრანულატორი (350 კგ/სთ წარმადობით ) გამრეცხი ავზი, ელევატორი, სეპარატორი, საწური შნეკი, შემრევი ბუნკერი და სილოსი (ტომრებში ჩაყრა). საწარმო იმუშავებს წელიწადში 341 დღე, 24 საათიანი რეჟიმით. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 25 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენები შემოტანილი იქნება ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივ ბაზარზე ნარჩენების შემგროვებელი კომპანიებისგან. კომპანია არ გეგმავს გადასამამუშავებელი ნარჩენების შემოტანას უცხო ქვეყნებიდან. საწარმოში შემოტანილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენები (02 01 04 - ნარჩენი პლასტმასები (გარდა შესაფუთი მასალისა), 07 02 13 - პლასტმასის ნარჩენი,

12 01 05 - პლასტმასის ნაწილაკები, 15 01 02 -პლასტმასის შესაფუთი მასალა, 16 01 19-პლასტმასი, 20 01 39 - პლასტმასი) განთავსდება სასაწყობო მოედანზე, ატმოსფერული ნალექებისგან დაცულ ტერიტორიაზე, საიდანაც საწარმოში დასაქმებული პერსონალის მეშვეობით ჩაიტვირთება ელევატორში და შემდეგ გადაინაცვლებს აგლომერატში. აგლომერატიდან დაქუცმაცებული ნარჩენები გადავა გამრეცხ ავზში, სადაც მოხდება ნარჩენების წყლით დამუშავება (გარეცხვა). შემდეგ ნარჩენები გაივლის სეპარატორს და გათავისუფლდება ზედმეტი ნარჩენებისგან. ამის შემდეგ ნარჩენები გადავა საწურ შნეკში, სადაც მოხდება ნარჩენების გამოცალკევება წყლისგან. აღნიშნული პროცესის გავლის შემდეგ, გარეცხილი ნარჩენები კვლავ მიეწოდება აგლომერატს კიდევ უფრო პატარა ნაწილაკებად დასაქუცმაცებლად. შემდეგ, დაქუცმაცებული ნარჩენები გადავა გრანულატორში, სადაც პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის მასა გაცხელდება ელექტრო ტენების (გამაცხელებლების) საშუალებით და ფორმირდება გრანულებად. აღნიშნული პროცესის შემდეგ, ფორმირებული მასა ცივდება წყლის დახმარებით და ხდება მისი დაჭრა სასურველი ზომის გრანულებად. მიღებული საბოლოო პროდუქტი, გრანულები, იტვირთება ტომრებში შემდგომი რეალიზაციისთვის. გრანულატორის წარმადობის გათვალისწინებით (350 კგ/სთ) როგორც აღნიშნა საწარმო წლის მანძილზე გადაამუშავებს 2864.4 ტ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენს (8400 კგ. დღე/ღამეში).

საწარმოო მოედანზე დამონტაჟებულია გამწოვი სისტემა, რომელშიც გაივლის აგლომერატიდან ნარჩენების შერევის/დაქუცმაცების დროს ჰაერთან ერთად ატაცებული მტვრის ნაწილაკები. გამწოვი აღჭურვილია წყლის სისტემით, რომელიც მიერთებულია 500 ლ. მოცულობის ავზთან და რომლის დანიშნულებაცაა შეწოვის შედეგად ატაცებული ნაწილაკების წყალთან ერთად ზემოაღნიშნულ ავზში დალექვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა და გატანა შესაძლებელი იქნება ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის საშუალებით და ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბნებზე გამავალი ქუჩების გამოყენება არ იგეგმება. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია კვირაში 12 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება. ნარჩენების ტრანსპორტირება განხორციელდება მარადახურული 10 ტონიანი ტვირთამწეობის ავტომობილის მეშვეობით, რომელიც იმოდრავებს დღის საათებში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ბუტილიზირებული წყლით, რადგან საპროექტო ტერიტორია არ არის ჩართული ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემაში. ტექნიკური დანიშნულების (ნარჩენების გარეცხვა, ნედლეულის გაციება) წყლისთვის ობიექტზე განთავსდება 18 ტ მოცულობის რეზერვუარი, რომლის შევსებაც განხორციელდება პერიოდულად ტერიტორიაზე არსებული ჰაბურლილიდან ლიცენზიის საფუძველზე.

ანგარიშის თანახმად, გადასამუშავებელი ნარჩენების გარეცხვა განხორციელდება მეტალის გამრეცხ ავზში (10 ტონა), რომელიც არის ნარჩენების გადაამუშავებელი დანადგარების შემადგენელი ნაწილი და თავის მხრივ ასრულებს სალექარის ფუნქციას. მისი შევსება მოხდება ყოველკვირა 1 ტონა წყლის დამატებით. ასევე ტექნიკური დანიშნულებით - ნედლეულის გაცივებისას გამოსაყენებული (აორთქლებული) წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 20 ტონას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმო წლის განმავლობაში ტექნიკური დანიშნულებით მოიხმარს 82 ტონა წყალს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში მოსალოდნელია სამეურნეო-ფეკალური წყლების წარმოქმნა, ასევე საწარმოო მოედანზე დამონტაჟებული გამწოვი სისტემის ექსპლუატაციისას (500 ლ. მოცულობის რეზერვუარში) მოსალოდნელია საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. აღნიშნული ჩამდინარე წყლებისთვის მოწყობილია ორი საასენიზაციო ორმო (3ტ და 5ტ ტევადობის). წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება საასენიზაციო ორმოებში, რომლის გატანაც ტერიტორიიდან განხორციელდება საასენიზაციო ავტომობილის გამოყენებით, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე სანიაღვრე წყლები შესაძლოა წარმოიქმნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის სახურავზე, რომელიც არ იქნება სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული. შესაბამისად, სანიაღვრე წყლების წარმოქმნით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ზედაპირული, მიწისქვეშა და გრუნტის წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის ვინაიდან საწარმო მოწყობილია შენობა-ნაგებობაში, სადაც იატაკი მოპირკეთებულია ბეტონის საფარით, ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში არ მოხდება მისი გავრცელება ღია გარემოში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირული, მიწისქვეშა და გრუნტის წყლების დაბინძურება.

გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და სხვა. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: შეწონილი ნაწილაკები (პოლიმერული მტვერი), ნახშირბადის მონოქსიდი და ძმარმჟავა.

ატმოსფერული ჰაერზე ზემოქმედების შეფასება შესრულებულია კომპიუტერული პროგრამა „უპრზა ეკოლოგის“ მიხედვით. გაზნევის ანგარიში მომზადებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლესთან (პირდაპირი მანძილი 300 მ) კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს (მაქსიმალური კონცენტრაცია: ძმარმჟავას (ეთანმჟავა) ზდგ-ს წილი 0,18 მგ/მ<sup>3</sup>). ამდენად საწარმოს ფუნქციონირებისას მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების (ზდგ) პროექტი, სადაც დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ: ზდგ-ს ნორმების პროექტის ფორმა №2 -ში წარმოდგენილი გაფრქვევის წყაროების X; -Y; X<sub>1</sub> - Y<sub>1</sub>; X<sub>2</sub> -Y<sub>2</sub>; კოორდინატები. აღნიშნული პარამეტრები შესაბამისობაში უნდა იყოს დოკუმენტის დანართებში წარმოდგენილ ინფორმაციასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზდგ-ს ნორმების პროექტის შეთანხმება მოხდება ზემოაღნიშნული საკითხების პროექტში დაზუსტებისა და განახლებული ნორმების პროექტის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

ანგარიშის თანახმად, საწარმოს მიერ გატარდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ, განხორციელდება ექსპლუატაციის პროცესში

დანადგარების მუდმივი მონიტორინგი, ინსტრუმენტული გაზომვები, ავტოტრანსპორტის და სპეცტექნიკის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი, პერსონალის ტრენინგები და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში სუნის გავრცელების წყაროს წარმოადგენს არსებული დანადგარებიდან აირის სახით ატმოსფეროში გამოყოფილი ძმარმჟავა. ვინაიდან, ატმოსფერულ ჰაერში ძმარმჟავას გაფრქვევის კონცენტრაციის მნიშვნელობა დაბალია ზღვ-თან მიმართებით, ატმოსფერულ ჰაერში არასასიამოვნო სუნის გავრცელების რისკები იქნება უმნიშვნელო, ხოლო არსებული რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: დანადგარების გამართული მუშაობა და საწარმოო ტექნოლოგიის სრული დაცვა, დანადგარების დასაშვები ნორმით განსაზღვრული ტემპერატურის კონტროლი.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან, რომელიც განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ანგარიშის თანახმად, ხმაურის გავრცელების გაანგარიშება ჩატარებული იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ (რომლის დასკვნაც წარმოდგენილია გზმ-ის ანგარიშში). გაზომვებით განისაზღვრა საწარმოში არსებული დანადგარების (დაფქვა, რეცხვა, გრანულების დამზადება) ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურის დონე საწარმოს ტერიტორიის საზღვართან და უახლოესი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავე ტერიტორიასთან მიმართებაში, რომლის შედეგად საწარმოს შენობიდან 25 მეტრში (საწარმოს საზღვართან) ხმაურის დონემ შეადგინა 57 დბა, ასევე წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავე ტერიტორიასთან ხმაური არ აჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმას.

როგორც აღინიშნა, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია კვირაში 12 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება. ასევე, საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის შემოტანა/გატანა შესაძლებელი იქნება ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზით და არ იგეგმება ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბნებზე გამავალი ქუჩების გამოყენება. აღნიშნული მარშრუტების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ხმაურით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის გავრცელების შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ტრანსპორტირებისას სიჩქარეების მინიმუმამდე შემცირება და კონტროლი და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე მანქანა-დანადგარების სარემონტო სამუშაოების დროს მოსალოდნელია სახიფათო (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნაჭრები, ზეთი), ასევე, არასახიფათო (შერეული მუნიციპალური ნარჩენები, პლასტმასი და რეზინი, ქვიშა და ქვა) ნარჩენების წარმოქმნა. ქვიშისა და ქვის ნარჩენები შესაძლოა წარმოიქმნას გამრეცხ ავზში ნარჩენების წყლით დამუშავების (გარეცხვა) შედეგად. საწარმოში ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე კატეგორიების მიხედვით. ერთ კონტეინერში განთავსდება მხოლოდ ერთი სახის სახიფათო ნარჩენები. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენი გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზმ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ტექნიკიდან ზეთების ავარიული დაღვრის შემთხვევაში. ვინაიდან მანქანა-დანადგარები განლაგებულია შენობა-ნაგებობაში, ბეტონის ზედაპირზე, არ მოხდება გრუნტის დაბინძურება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ავტოტრანსპორტიდან ზეთის დაღვრის ან საპოხი მასალებით დაბინძურების შედეგად ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედების რისკის შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: ავტოტრანსპორტის პერიოდული ინსპექტირება, საწარმო აღჭურვილი იქნება აბსორბენტი მასალებით, რათა ავარიული დაღვრის შემთხვევაში დროულად მოხდეს დაბინძურების თავიდან აცილება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრზე წარმოდგენილია ხელოვნურად გაშენებული მცენარეები. ანგარიშის თანახმად, საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. გარდა ამისა, საწარმო მთლიანად შემოღობილია, ამიტომ ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან დაცული ტერიტორიები დაშორებულია დიდი მანძილით. ტერიტორიის სიახლოვეს, ასევე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის მიმდებარედ ზემოქმედების ზონაში ფუნქციონირებს შპს „აგროპლასტიკის“ პლასტმასის ნაკეთობების დასამზადებელი საამქრო, შპს „აგროუზნის“ და შპს „აგროპლასტიკის“ საწარმოები განთავსებულია ერთ სამეურნეო ეზოში. შპს „აგროპლასტიკის“ საწარმოო შენობა დაშორებულია შპს „აგროუზნის“ საწარმოო შენობიდან 9 მეტრით, აღმოსავლეთით. ორივე შენობის კედელი არის ბეტონის, რაც გამორიცხავს აკუსტიკური ხმაურით გამოწვეულ კუმულაციურ ზემოქმედებას. როგორც აღინიშნა, ატმოსფერულ ჰაერში შპს „აგროუზნის“ საწარმოს მუშობის პროცესში გაიფრქვევა პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში შპს „აგროუზნისა“ და შპს „აგროპლასტიკის“ საწარმოების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ასევე საპროექტო ობიექტის საზღვრიდან 70 და 160 მეტრში მდებარეობს შპს „აისი“(ს/კ:51.01.59.224), ხოლო 150 მეტრში შპს „იმედი დიდუბეს“ (ს/კ:51.01.59.066) საწარმოები. რადგან საწარმოები არ წარმოადგენენ ანალოგიური ტიპის ობიექტებს (შპს „აისი“ - ნაყინის მწარმოებელი კომპანია, შპს „იმედი დიდუბე“ - სამშენებლო კომპანიის ბაზა) საწარმოებს არ გააჩნია გაფრქვევის წყაროები, ხოლო ხმაურითა და სუნით გამოწვეულ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოსთან მისასვლელი გზის მდებარეობის და სატრანსპორტო ოპერაციების რიცხოვნობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის

ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 22 თებერვალს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია “გერგილის”, საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია შპს „აგროუბანის“ და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. საჯარო განხილვის დროს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის შეკითხვა შეეხებოდა საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეულის გარეცხვის შედეგად მოხმარებული წყლის საკითხს, აგრეთვე საწარმოში მანქანა-დანადგარების მუშაობით და ტრანსპორტის მოძრაობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და მონიტორინგის საკითხებს. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და მეორე დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. გურჯაანში, შპს „აგროუბანის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „აგროუბანმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „აგროუბანმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების (ზდგ) პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც დაზუსტებული იქნება მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები. ზდგ ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმების შემდგომ, უზრუნველყოს მასში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „აგროუბანმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის განხორციელება მონიტორინგის გეგმის და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილება);

6. შპს „აგროუზანმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
7. შპს „აგროუზანმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს გადასამუშავებლად მიღებული ნარჩენების გარეცხვის (გამრეცხ ავზში) შედეგად წარმოქმნილი წყლის მართვის საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
8. შპს „აგროუზანმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
9. შპს „აგროუზანმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
10. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგროუზანს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
11. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგროუზანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

